

დევილ მოსახლეობას კარტოფილის სათესლე მასალა გადაეცა

18 მაისი 2018

კომპანია „კარტლის აგროსისტემის“ გორის ფილიალის სერვის ცენტრის ორგანიზებით საქველმოქმედო აქცია გაიმართა, რომლის ფარგლებშიც გორის მუნიციპალიტეტის სოფელ კარალეთში მცხოვრებ დევილ მოსახლეობას ჰოლანდიური კომპანია HZPC-ის A კლასის კარტოფილის სათესლე მასალა გადაეცა. ღონისძიებას შიდა ქართლის გუბერნატორის პირველი მოადგილე, სიმონ გულედანი, გუბერნატორის მოადგილე, ლევან ჟღენტი, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შიდა ქართლის რეგიონული სამმართველოს უფროსი, მამუკა ლომსაძე და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. გულედანის თქმით, იგი მიესალმება მსგავსი სახის წამოწყებას, აღნიშნული ინიციატივა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს დევილი ოჯახების პირობებს.

„კარტლის აგროსისტემის“ ქართულ ბაზარზე უკვე ოცი წელია მოღვაწეობს და მომხმარებელს მცენარეთა დაცვის საშუალებების, სასუქების, სათესლე მასალებისა და სარწყავი სისტემების ფართო ასორტიმენტს სთავაზობს. ასევე, კომპანიას გააჩნია საცდელ-სადემონტრაჟო მეურნეობები, სადაც ცდის ახალ ჯიშებსა და პრეპარატებს. ამავდროულად, ამუშავებს სხვადასხვა კულტურების მოყვანის უახლეს ტექნოლოგიებს.